საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №121

2025 წლის 5 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი დაწინაურების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 27 დეკემბრის №101 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი დაწინაურების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 27 დეკემბრის №101 ბრძანებაში (ვებგვერდი, 27/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017278) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) რიგითების, კაპრალების და სერჟანტების შემადგებლობისათვის, I კლასის რიგითის, კაპრალის, კაპრალ-სპეციალისტის, სერჟანტის და უფროსი სერჟანტის სამხედრო წოდებების მისანიჭებლად.“.

2. მე-8 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დასაწინაურებლად შერჩეული სამხედრო მოსამსახურე ინიშნება მისთვის შეთავაზებული, მისანიჭებელი სამხედრო წოდების შესაბამისი, არაუმეტეს სამი თანამდებობიდან ერთ-ერთზე, წოდებრივი დაწინაურების დეტალური სამოქმედო პროცედურებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ვერ/არ შეარჩევს შეთავაზებული თანამდებობიდან ერთ-ერთს, იგი ინიშნება შეთავაზებული თანამდებობიდან ერთ-ერთზე, თანამდებობის შემთავაზებლის გადაწყვეტილებით.“;

ბ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეცენტრალიზებულ წოდებრივ დაწინაურებას ექვემდებარება I კლასის რიგითის, კაპრალის, კაპრალ-სპეციალისტის, სერჟანტის და უფროსი სერჟანტის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**